განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს10-20, 24.09.2020
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:
დადგენილება №12, 27.03.2020

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №მ11-24, 10.09.2024
დამტკიცებულია მმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით:
დადგენილება №20, 20.09.2024

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ფსიქოლოგია

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0313 ფსიქოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Psychology

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები: აფილირებული ასოც. პროფ. დოქტორი ლაშა ხოჯანაშვილი, ელ. ფოსტა: khojanashvili.lasha@eu.edu.ge

აფილირებული ასისტ. პროფ. ბაია კუბლაშვილი, ელ. ფოსტა: kublashvili.baia@eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა);

2. ერთ-ერთი უცხოური ენა: ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა);

3. ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია/მათემატიკა/ბიოლოგია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა). თითოეული საგნისათვის (ისტორია/მათემატიკა/ბიოლოგია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა გაზრდილია იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ამ დარგის სპეციალისტები სჭირდებათ როგორც საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის განათლების, პენიტენციალური, თავდაცვის, ჯანდაცვის და ა.შ. სისტემაში, ასევე, კერძო და არასამთავრობო სექტორში, მედიაში, საერთშორისო ფონდებში და სხვ.

ჩატარებული კვლევების მიხედვით, ფსიქოლოგებზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს განათლების სფეროში მიმდინარე ახალი პროექტები, მათ შორის, მასწავლებელთა გადამზადების, ინკლუზიური განათლების, ზოგადად, განათლების ახალი თეორიების იმპლემენტაცია. გაზრდილია მოთხოვნა ჯანდაცვის ფსიქოლოგიის მიმართულებით, სადაც კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა კლინიკებში, ამბულატორიებში. ფსიქოლოგი საჭიროა ყველგან, სადაც კი არსებობს საჭიროება, აღმოჩენილ იქნას ბავშვთა და მოზარდთა განვითარების შეფერხებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტთა ფსიქოლოგიური დახმარება. ფსიქოლოგებზე მოთხოვნა გაიზარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორებიცაა სკოლა და ბაღი, ასევე პროფესია მოთხოვნადია დღის ცენტრებში. ფსიქოლოგიის პროფესია აქტუალურია სოციალური კვლევების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში.

საინტერესოა ფსიქოლოგიის განვითარება კორპორატიული, საკონსულტაციო, მარკეტინგული, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. საარჩევნო სისტემაში, პოლიტიკური პიარის, იმიჯისა

და სხვა შედარებით ახალი ურთიერობების საკვლევად და რეალობასთან მათი ჰარმონიზაციისათვის. დარგის სპეციალისტები აქტუალურია ორგანიზაციული მართვისა და მენეჯმენტის რგოლში, ასევე პერსონალის შერჩევის მიმართულებითაც.

სწორედ ამიტომ, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, იმისთვის რომ იგი მზად შეხვდეს პრაქტიკულ საქმიანობას და შეძლოს დარგში განვითარება საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით.

პროგრამის მიზანი

ევროპის უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრიივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სათანადო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ:

1. თანამედროვე ცოდნას ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობებისა და ემპირიული მიგნებებების შესახებ.
2. ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერებისათვის საჭირო ძირითადი კვლევის მეთოდების გააზრებისა და კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით მათი გამოყენების უნარს, ასევე, კვლევის შესაბამისი დიზაინის შემუშავების, მონაცემთა ანალიზისა და შედეგების ინტერპრეტაციის უნარს.
3. 21-ე საუკუნისათვის მნიშვნელოვან ისეთ უნარებს, როგორიცაა: თანამშრომლობა, ჯგუფში მუშაობა, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტა.

სწავლის შედეგები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეს (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

1. აყალიბებს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგანსა და ამოცანებს, ძირითად ცნებებს, განვითარების ეტაპებსა და ძირითადი მიმართულებებს;
2. ახდენს ფსიქოლოგიის სხადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის განზოგადებას, სისტემატიზაციასა და ამთლიანებს მას ფსიქოლოგიის ძირითადი კატეგორიების გარშემო;

უნარი

3. წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძვლეზე გეგმავს მცირე მასშტაბიან კვლევას, არჩევს სამიზნე ჯგუფებს, ახდენს ინტერვიუირებას, მონაცემთა დაჯგუფებას, დამუშავებას, შედეგების აღწერას, ანგარიშისა და კვლევითი პროექტის გაფორმებას;

4. სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს და აფასებს ადამიანის ქცევითი აქტივობის განმაპირობებელ, დისპოზიციურ და სიტუაციურ აღმძვრელებს;

5. აყალიბებს სათანადო დასკვნებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;

6. ახდენს კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარის დემონსტრირებას, რთულად კონსტრუირებული პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო კრიტიკულ აზროვნებასა და კრეატიულობას;

ავტონომიურიობა და პასუხისმგებლობა

7. აფასებს სოციალურ გარემოში წარმოქმნილ პრობლემურ სიტუაციას, აყალიბებს დასკვნას და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას;

8. იცავს პროფესიული საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო პროფესიულ პასუხისმგებლობას, ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრს) და მოიცავს 240 კრედიტს (6000 საათს ჯამში). ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა კი სასესიო. მე-8 და მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე–18 და მე–19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო მე–20 და 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

- სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 34 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 კრედიტი, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი და პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი;

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;
- არჩევითი თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის არჩევაც შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობების დაცვით ან ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან - 36 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

*საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით (იხ. **დანართი 5** - პროგრამის სასწავლო გეგმა).*

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40%-ისა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის

საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება VIII-IX კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდებს, შინაარსსა და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50%, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% + 1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი უფლებამოსილია, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისა და ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. განმავითარებელი შეფასების მიზანია - სტუდენტის განვითარების ხელშეწყობა და სწავლის ხარისხის

გაუმჯობესება, ხოლო საგანია - სწავლის პროცესი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანი კი არის - სწავლის ხარისხის გაკონტროლება; სტუდენტის მიღწევის დონის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუს(ებ)ით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა. ხოლო, შეფასების საგანია - სწავლის შედეგი - ცოდნა-უნარები და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

სტუდენტის ცოდნა-უნარებისა და მიღწევების განმსაზღვრელი შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი სისტემით და ითვალისწინებს ორ შემადგენელ ფორმას - შუალედურ (მიმდინარე) შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **ზეპირი აქტივობა/სააუდიტორიო აქტივობა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტებისთვის კითხვების დასმას ლექციის დროს ახსნილი და მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის შესახებ მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და შეფასების მიზნით. ზეპირი გამოკითხვის შეფასებისას სტანდარტულად ყურადღება ექცევა სტუდენტის სისხარტეს, პასუხების ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების სიზუსტეს, გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს, დამაჯერებლობას და სხვა.
- **წერითი აქტივობა / ქვიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას მოკლე ტესტის ფორმატში და შედგება დახურული ან/და ღია კითხვებისგან, სიტუაციური ამოცანებისგან. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა და მისი შეფასების სტანდარტული კრიტერიუმია პასუხების სისწორე. ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ქვიზის შესრულებისთვის გამოყოფილ დროსა და თითოეული კითხვის წონას.
- **რეფერატი** - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან წიგნების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს რეფერატის წარდგენა აუდიტორიის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.
- **პრეზენტაცია** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის შეფასებას მის მიერ სასწავლო მასალის, რეფერატის ან ნაშრომის ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით წარდგენის ფონზე. პრეზენტაცია ამოწმებს სტუდენტის გადმოცემის მანერას, ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას და სხვა.
- **ინდივიდუალური დავალებები/სამუშაო** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს შესასწავლ თემატიკასთან დაკავშირებული სტუდენტის მიერ დავალებების მომზადებას წერილობითი ფორმით. ინდივიდუალური დავალების მიზანია შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, დავალების შეფასების კრიტერიუმს ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ინდივიდუალურად.
- **კვლევის კონცეფცია** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს კვლევის ჰიპოთეტურად დადეგმვასა და ჩატარებას, სავარაუდო შედეგების ინტერპრეტაციას. სტუდენტი მსგავსი ტიპის დავალებას ასრულებს

სწავლის პირველ დონეზე, რაც მას სამომავლოდ უვითარებს რეალური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარებს.

- **ჯგუფური სამუშაო** - მოცემულ შემთხვევაში შეიძლება სტუდენტების იყოფიან მცირერიცხოვან ჯგუფებად და ეძლევათ კონკრეტული დავალება ერთობლივად შესასრულებლად. შესაბამისად, ჯგუფური მუშაობისას სტუდენტების მუშაობა გუნდურ პრინციპზე აგებული, საკითხიც უნდა იყოს გაანალიზებული ერთობლივად და შეჯერებული ჯგუფში. ამ გზით სტუდენტს გამოუმუშავდება როგორც ანალიზის, ისე გუნდური მუშაობის უნარები და კულტურა.

- **როლური თამაში** - შეფასების აღნიშნული ფორმა აჩვენებს, თუ რამდენად კარგად შეუძლია სტუდენტს მოირგოს სხვადასხვა როლი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს და გაითავისოს კონკრეტული ინდივიდის, სიტუაციის, მდგომარეობის მახასიათებლებლი და იმოქმედოს ამ პერსპქტივიდან. სტუდენტი ამ დროს იმიშავებს საკითხის სხვადსხვა პერსპექტივიდან ხედვის უნარს, კრიტიკულ აზროვნებასა და ლოგიკური მსჯელობის უნარებს.

- **იმიტირებული ინტერვიუ** - შეფასების აღნიშნული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას ხელი შეეწყოს სტუდენტის მხრიდან ინტერვიუს, როგორც კვლევის ერთ-ერთი მეთოდის ეფექტიანად გამოყეების უნარის განვითარებას. სტუდენტი სწავლობს კითხვის დასმის, პასუხზე რეაგირებისა და მოსმენის სტრატეგიებს, რაც შემდგომში მკვლევარის აპლუის უკეთ გაცნობიერებაში ეხმარება.

- **პრაქტიკული სავარჯიშო** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, შექმნილ პროდუქტზე ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია მათი კომბინაციაც.

- **შემთხვევის შესწავლა (Case Study)** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი ან პირიქით, გამონაკლისი შემთხვევის შესწავლას დროის დათქმულ მონაკვეთში. ქეისის საშუალებით ლექტორი ამოწმებს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების, დასკვნის გაკეთების და კომპლექსური საკითხის გაცნობიერების უნარებს, ასევე პროფესიულ-ეთიკულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.

- **მცირე მასშტაბიანი კვლევის ჩატარება** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს წინასწარ შერჩეული საკითხის შესაბამისას კვლევის ეტაპების გავლას, დაწყებული ლიტერატურის მიმოხილვით, კითხვარის შერჩევით, დებულებების განსაზღვირს, კვლევსი ჩატარების, შედეგების ანალიზისა და იტრეპრეტაციით დასრულებული. შეფასების მეთოდი სტუდენტში ავითარებს კვლევით უნარებს.

- **საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ ვიწყო საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გაზიარებას წერილობითი გზით და აუდიტორიის გათვალისწინებით. შეფასების ამ მეთოდით, სტუდენტი სწავლობს საკომუნიკაციო ენის შერჩევას აუდიოტრიიდან გამომდინარე, დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოკლედ წარმოდგენას, საკვანძო საკითხეზე კონცენტრირებას.

- უშუალო ხელმძღვანელის შეფასება

- რეცენზენტის შეფასება

- ამოცანების ამოხსნა - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ სტატისტიკური ამოცანების ანალიზსა და მისი გადაჭრის საუკეთესო გზის მოძიებას დროის დათქმულ მონაკვეთში. როგორც შეფასების მეთოდი, ამოცანის ამოხსნა ამოწმებს სტუდენტების მიერ თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

- საშინაო დავალება/ნაშრომი - მოცემულ შემთხვევაში სტუდენტი ირჩევს ერთ თემას და ამიშავებს მასთან დაკავშირებულ რამდენიმე წყაროს. ნაშრომს აფორმებს სამეცნიერო ნაშრომისთვის განსაზღვრული სტრურქტურული ერთეულების მიხედვით.
- ექსპერიმენტული პროექტი - შეფასების მეთოდი, რომელიც ამოწმებს სტუდენტ(ებ)ის მხრიდან კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შედეგებს. პროექტი მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის (პრეზენტაციის) ეტაპებს და იგი შეიძლება, განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. როგორც წესი, პროექტის საკითხებს სტუდენტ(ებ)ი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ ჯგუფს, თუმცა არსებობს მინი და შესაბამისად, ხანმოკლე დროში განხორციელებადი პროექტებიც. როგორც შეფასების მეთოდი, პროექტი ავლენს სტუნდეტის კვლევით, შემოქმედებით, და კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, ხოლო ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში - თანამშრომლობის უნარსაც.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, სხვა სასწავლო კურსებთან ერთად, უზრუნველყოფს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას.

საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესით“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №308 ბრძანებით) დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურად, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით. ნაშრომზე მუშობის პროცესი სტუდენტს ეხმარება დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, წარმართოს სასწავლო (დარგობრივ) ლიტერატურაზე, წყაროებზე მუშაობა, გაერკვეს დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში და გაიღრმავოს ცოდნა მისთვის საინტერესო/ნაკლებად ცნობილი საკითხების გარშემო.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. შუალედური შეფასება მოიცავს ნაშორმის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებებს, ხოლო დასკვნითი შეფასება გულისხმობს ნაშრომის შეფასებას დაცვის კომისიის მიერ. შეფასების კრიტერიუმები, კრიტერიუმებისთვის დადგენილი ქულები და შეფასების სხვა დეტალები დეტალურადაა გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით.

დასაქმების სფერო

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ განათლების, პენიტენციალურ, თავდაცვის, ჯანდაცვის და ა.შ. სისტემაში. ასევე, კერძო და არასამთავრობო სექტორში, მედიასა და საერთშორისო ფონდებში, კვლევით ორგანიზაციებში და სხვა. პროგრამის

დასრულების შემდეგ კუსდამთავრებულმა შესაძლოა დაიკავოს ფსიქოლოგის პოზიცია ნებისმიერ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში (მათ შორის: სკოლის ფსიქოლოგის, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის, დღის ცენტრის ფსიქოლგის პოზიცია და სხვა). პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შესაძლებელია დასაქმდეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, თერაპევტის (ქცევითი, აკადემიური, სენსურული, მეტყველების და სხვა კუთხით სპეციალიზირებული), მკვლევარის, ტრენერის, სხვადასხვა სპეციალიზირებული მიმართულებით კონსულტანტის პოზიციებზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელები:

აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ლაშა ხოჯანაშვილი

აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ბაია კუბლაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:

სოფო ხუნდაძე